დაკვირვება ხმებზე

მოსწავლეები გაივარჯიშებენ მარცვალთა დათვლასა და დასახელებაში.



კლასი: I

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

მსვლელობა

- თავდაპირველად მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს აქტივობის მოდელს - რამდენიმე სახელს ამბობს დამარცვლით და თითოეულ მარცვალზე უკრავს ტაშს.
- შემდეგ სთხოვს ბავშვებს, რომ მასთან ერთად შეასრულონ იგივე აქტივობა. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „რამდენი მარცვალი გაიგონეთ?“
- მომდევნო ეტაპზე მასწავლებელი სთხოვს ყველა ბავშვს სათითაოდ, რომ დამარცვლითა და ტაშით წარმოთქვან საკუთარი სახელი, შემდეგ კი თქვან, რამდენი მარცვლისგან შედგება. შემდეგ იგივე აქტივობა სრულდება გვარებით.
- მოგვიანებით კი ბავშვები გადადიან სხვა სიტყვების ტაშით დამარცვლაზეც.

ვარიაციები

- მოსწავლეები მარცვლავენ თავიანთ სახელსა და გვარს, ოღონდ ტაშის ნაცვლად თითებზე ითვლიან მარცვლებს.
- მასწავლებელი უხმოდ, მხოლოდ ტაშით „ამბობს“ ბავშვების სახელებს. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, ვისი სახელი შეიძლება იყოს ეს.